



სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-12, 19.1, 23.1, 23.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არც ერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ მონიშნული პასუხის შესწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. შესწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რა ეწოდება საზოგადოების წევრთა მიერ აღიარებული ფასეულობების, ქცევებისა და ნორმების სისტემას, რომელსაც საზოგადოებაში დომინანტური ადგილი უჭირავს დროის მოცემულ მონაკვეთში?

ა) პოპკულტურა;

ბ) სუბკულტურა;

გ) ფოლკკულტურა;

დ) კონტრკულტურა.

(1) 2. რა შეიძლება გახდეს პროდუქციის გაიაფების გამომწვევი მიზეზი საბაზრო ეკონომიკის პირობებში?

ა) თვითღირებულების გაზრდა;

ბ) მიწოდების დეფიციტი;

გ) მოთხოვნის გაზრდა;

დ) მიწოდების სიჭარბე.

(1) **3. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია საქართველო?**

ა) ოპეკის;

ბ) ბისეკის;

გ) ევროპის კავშირის;

დ) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის.

(1) 4. რა ეწოდება დროის გარკვეულ პერიოდში ქვეყანაში წარმოებულ საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას?

ა) მთლიანი შიდა პროდუქტი;

ბ) მთლიანი საბაზრო პროდუქცია;

გ) ერთიანი ეროვნული ღირებულება;

დ) შიდა ალტერნატიული ღირებულება.

(1) 5. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, რა შემთხვევაში უწყდება უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტის წევრს?

- I. უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ პარლამენტისათვის პირადი განცხადების საფუძველზე;
- II. ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ დეპუტატის ვადამდე გაწვევის მოთხოვნის საფუძველზე;
- III. მორიგი სესიის განმავლობაში არასაკმარისი მიზეზით სხდომების ნახევარზე მეტის გაცდენის შემთხვევაში.

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;


გ) მხოლოდ I და III;

დ) სამივე შემთხვევაში.

(1) **6. რომელი მოვლენა არ ახასიათებს ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესს?**

- ა) ტრანსნაციონალური კორპორაციების პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების გაზრდა;
- ბ) საერთაშორისო ეკონომიკური სისტემების გავლენის შემცირება ეროვნულ ეკონომიკაზე;
- გ) ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავება მსოფლიოს ქვეყნებს შორის;
- დ) მოსახლეობის მიგრირება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში.

(1) 7. სქემა ასახავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მახასიათებლებს. რა უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად?



- ა) განუყოფელი;
- ბ) შეუზღუდავი;
- გ) იერარქიული;
- დ) კოლექტიური.

(1) 8. განასხვავებენ საზოგადოებრივი კონფლიქტის რამდენიმე ტიპს. კონფლიქტის გადაჭრის რომელი სტრატეგიების გამოყენებაა მიზანშეწონილი ინტერესთა კონფლიქტის დროს?

- I. განსაზღვრა იმისა, თუ რისი დათმობაა შესაძლებელი და კომპრომისამდე მისვლა.
- II. პოზიციების მიღმა რეალური ინტერესების იდენტიფიცირება.
- III. ინტერაქციის ახალი გზების გამონახვა, როგორებიცაა სტრუქტურაში როლის შეცვლა ან პასუხისმგებლობების ხელახლა გადანაწილება.

ა) მხოლოდ I და III სტრატეგიის;

ბ) მხოლოდ II და III სტრატეგიის;

გ) მხოლოდ I და II სტრატეგიის;

დ) სამივე სტრატეგიის.

(1) **9. რომელი მსჯელობა გადმოსცემს მართებულად „გენდერული როლის“ ცნების შინაარსს?**

ა) თითოეულ კულტურაში არსებობს ერთგვარი წარმოდგენები იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა იყოს მორალურად მისაღები ზოგადად ადამიანების ქცევაში, იქნება ის კაცი თუ ქალი. შესაბამისად, ვერ შევხვდებით ისეთ კულტურას, სადაც ქცევის ერთი მოდელი მისაღებად მიიჩნევა მამრობითი სქესის ადამიანისთვის, ხოლო მდედრობითისთვის - მიუღებლად;

ბ) თითოეულ საზოგადოებაში მიღებულია ქცევის გარკვეული მოდელები, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის კულტურულ იდენტობას. ტრადიციულ საზოგადოებებში ამ ქცევის მოდელებს არავითარი კავშირი არ აქვს იმასთან, თუ რომელი ბიოლოგიური სქესის წარმომადგენელია პიროვნება. ამდენად, თითოეული ინდივიდი თავად ირჩევს თავის სოციალურ როლს;

გ) ზოგიერთ საზოგადოებაში არსებობს სტერეოტიპული წარმოდგენები იმის შესახებ, რომ თითოეულ ადამიანს დაბადებიდან გააჩნია სპეციფიკური სოციალური როლი. ამ როლის გამოსარკვევად საზოგადოება ქმნის ერთგვარ კულტურულ სივრცეს, რომელშიც ქალისა და კაცის ფუნქციები მთლიანად განისაზღვრება ცალკეული პიროვნების ინდივიდუალური შესაძლებლობების საფუძველზე;

დ) არსებობს სოციო-კულტურულად განსაზღვრული ქცევებისა და ურთიერთდამოკიდებულებათა მთელი რიგი, რომლებიც მიჩნეულია მასკულინურად ან ფემინურად. ეს სოციალური როლები ზოგიერთ კულტურაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ბიოლოგიურ სქესთან, რაც ქმნის სტერეოტიპულ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის კაცისათვის ან ქალისათვის შესაფერისი ქცევა.

(1) **10. რომელი დებულება გამოხატავს მართებულად დემოკრატიის პლურალისტური თეორიის ძირითად ასპექტს?**


ა) პოლიტიკური პროცესი განსხვავებული სოციალური, პროფესიული, ეკონომიკური თუ რელიგიური ჯგუფების ინტერესთა კონკურენციას წარმოადგენს. ამდენად, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითადი სუბიექტი არის არა ცალკეული პიროვნება ან ზოგადად ხალხი, არამედ სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები;

ბ) ხელისუფლების მთავარი წყარო პიროვნებაა და მისი უფლებები სახელმწიფოსთან შედარებით პრიორიტეტულია. ცალკეული პიროვნების ინტერესების რეალიზებისათვის საჭირო არ არის რომელიმე ჯგუფთან მისი იდენტიფიცირება, არამედ მთავარი ამოცანა ინდივიდუალური თავისუფლების სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარანტიების შექმნაა;

გ) ხალხის უმრავლესობის ხელისუფლება აბსოლუტური და პრიორიტეტულია ცალკეულ პიროვნებასა თუ უმცირესობებთან მიმართებაში. პიროვნების ავტონომიურობა უარყოფილია, ხოლო ხელისუფლების განხორციელების პროცესში პირველადი ღირებულება ხალხის მთლიანობას ენიჭება;

დ) სახელმწიფოში ცალკეული მოქალაქეების ინტერესების გასატარებლად მნიშვნელოვანია გაუქმდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენა და განსხვავებული ინტერესების გარშემო შექმნილი კოალიციები, ვინაიდან ისინი მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვას ემსახურებიან. ამასთან, საჭიროა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცალკეული ინდივიდების როლის გაზრდა.

(1) 11. ინფორმაცია ასახავს საქსტატის 2020 წლის მონაცემებს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის შესახებ:



რომელი მსჯელობა შეესაბამება ინფოგრაფიკის მონაცემებს?

- ა) სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი აღემატება სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასს;
- ბ) ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი მცხეთა-მთიანეთის მაცხოვრებლებს აქვთ, რაც განპირობებულია ამ რეგიონში სამეწარმეო სექტორის კონცენტრაციით;
- გ) გენდერული თვალსაზრისით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაბალანსებულია;
- დ) დასავლეთ საქართველოში საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასთან ყველაზე მიახლოებული მაჩვენებელი აჭარის რეგიონშია.

(1) 12. დავალებაში მოცემულია 2018 წლის კვლევის „საქართველოს მოსახლეობის განწყობა პოლიტიკური პარტიების მიმართ“ შედეგები:

- საქართველოს მოსახლეობის 55,2% მიიჩნევს, რომ საქართველოში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც მისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს მოაგვარებს.
- საქართველოს მოსახლეობის 52% სრულად ეთანხმება, ხოლო 35% ეთანხმება მოსაზრებას, რომ პოლიტიკაში ადამიანები საკუთარი კეთილდღეობისთვის მიდიან.
- საქართველოს მოსახლეობის 66%-ს არასდროს წაუკითხავს პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამა.
- მოსახლეობის 38,5%-თვის ხმის მიცემისას უფრო მნიშვნელოვანია პარტიის საარჩევნო პროგრამა, ხოლო 45,8%-თვის - ლიდერების ვინაობა.
- რა კრიტერიუმით ირჩევენ პარტიები, ვინ წამოაყენონ კანდიდატად საპარლამენტო არჩევნებზე: არ ვიცი/უარი პასუხზე: 20,8%; პროფესიონალიზმით: 24,1%; საზოგადოებაში ცნობადობით: 17,1%; პატიოსნებით: 6,6%; პირადი კავშირებით პარტიის ლიდერებთან: 18,7%; ფულით: 12,4%; სხვა: 0,3%.
- მოსახლეობის 60,7% მიიჩნევს, რომ არჩევნებში კაცს გამარჯვების უფრო მაღალი შანსი აქვს, ვიდრე ქალს.
- მოსახლეობის 17% მოუწონებდა ქალიშვილს, პოლიტიკაში წასულიყო.

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?


- ა) ქართული პოლიტიკა ქალებისთვის კეთილგანწყობილი სივრცეა;
- ბ) ქართულ პოლიტიკაში ძირითადად პროფესიონალები საქმიანობენ;
- გ) ამომრჩეველი უფრო მეტად ითვისებს კონკრეტული პოლიტიკური ლიდერის პიროვნებას, ვიდრე საარჩევნო პროგრამებსა და პარტიულ დოქტრინას;
- დ) მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსები პოლიტიკურ ძალაუფლებას მოსახლეობის პრობლემების აღმოსაფხვრელად იყენებენ და არა პირადი კეთილდღეობის მისაღწევად.

ინსტრუქცია

თანმიმდევრობის დადგენა (№13)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(1) 13. სქემაზე მოცემული მედიაციის პროცესის ეტაპები დაალაგეთ თანმიმდევრულად:



				5*	
--	--	--	--	----	--





* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№14, 15, 16)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.


(1) 14. II სვეტში მოცემული გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებები შეუსაბამეთ I სვეტში წარმოდგენილ დროშებს:

I. დროშები		II. გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებები
ა) 	ბ) 	<ol style="list-style-type: none"> 1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 2. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 3. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო 4. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია
გ) 	დ) 	

(2) 15. II სვეტში მოცემული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობის მოდელები შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ საზოგადოების ჩართულობის ხარისხს:

I. საზოგადოების ჩართულობის ხარისხი	II. საზოგადოებრივი ჩართულობის მოდელები
ა) საზოგადოების ინტერესებისა და სურვილების გაგება და მათი გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების დროს.	1. ინფორმირება
ბ) საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის გადაცემა საზოგადოების ხელში.	2. კონსულტაცია
გ) საზოგადოებასთან პარტნიორობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის თითოეულ ასპექტში.	3. ჩართულობა
დ) საზოგადოების დროულად უზრუნველყოფა დაბალანსებული და ობიექტური მონაცემებით/ცნობებით.	4. კოლაბორაცია
ე) საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღება პრობლემურ საკითხებზე, მათი გადაჭრის ალტერნატივებსა და საბოლოო გადაწყვეტილებებზე.	5. უფლებამოსილებით აღჭურვა

(2) 16. რუკა ასახავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ მმართველობის ფორმებს. შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ მმართველობის ფორმებს II სვეტში მოცემული რუკის ლეგენდის ფერები:



I. მმართველობის ფორმები	II. რუკის ლეგენდის ფერები
ა) საპრეზიდენტო რესპუბლიკა	1. 
ბ) საპარლამენტო კონსტიტუციური მონარქია	2. 
გ) აბსოლუტური მონარქია	3. 
დ) საპარლამენტო რესპუბლიკა	4. 
ე) კომუნიზმი	5. 

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№17)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(7) 17. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

ადგილობრივი თვითმმართველობა

სახელმწიფო სხვადასხვა მხარესა და დასახლებას მოიცავს. იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები და ეფექტიანად მოხდეს მათი დაკმაყოფილება, მნიშვნელოვანია, რომ ძალაუფლება არა მხოლოდ სახელმწიფო დონეზე, არამედ ტერიტორიული პრინციპითაც ნაწილდებოდეს. სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობები წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებას და შესაძლებლობას, რომ ადგილობრივი ინტერესების შესაბამისად კანონმდებლობის ფარგლებში გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

სახელმწიფო ხელისუფლებასა და თვითმმართველ ერთეულებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძნება სუბორდინაციის პრინციპს. ამ პრინციპის თანახმად საკითხი, რომლის მოგვარებაც შესაძლებელია ქვედა დონეზე, არ უნდა წყდებოდეს ზედა დონეზე.

საქართველოში დღეისათვის მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, განსხვავდება თვითმმართველობის უფლებამოსილებათა ორი სახე: საკუთარი და დეკლარირებული. საკუთარ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება: ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების შემოღება-გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში თვითმმართველობა ასევე უზრუნველყოფს ადგილობრივი ქუჩების, პარკებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავებას, გამწვანებასა და გარე განათებას.

საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეული არის კერძო სამართლის იურიდიული პირი. თვითმმართველ ქალაქს ან თვითმმართველ თემს, რომელსაც გააჩნია ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი, საბჭოები ეწოდება.

[გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე](#)

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო არის საკრებულო, რომელსაც ირჩევს შესაბამის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობა 4 წლის ვადით. საქართველოს კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი. მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობების შემოღება დემოკრატიული წყობილების დასამკვიდრებლად მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნდათ ქართველ პოლიტიკოსებს, რასაც საქართველოს ტერიტორიის ძირითად მაზრებში ჩატარებული საერობო არჩევნები ადასტურებს. თუმცა 1925 წელს რუსეთის წითელი არმიის თბილისში შემოსვლასა და საქართველოს გასაბჭოებას შედეგად მოჰყვა სრულიად ცენტრალიზებული მმართველობის ხანა. საბჭოთა კავშირის არადემოკრატიული მმართველობის სისტემა გამორიცხავდა ადგილობრივი თვითმმართველობების რეალურად არსებობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების კვალდაკვალ ადგილობრივი არჩევნების ჩატარება 1989 წელს იყო ერთგვარი მცდელობა თვითმმართველობის დასამკვიდრებლად. მოგვიანებით, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე 1998 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად არჩეულ იქნა საკრებულოები, რომელთა რაოდენობა ათასს აღემატებოდა. დღეისათვის საქართველოში თვითმმართველი ერთეულების რაოდენობა ასზე ნაკლებია. დეცენტრალიზაციის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პარლამენტის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირება, რომელიც 1974 წელს მიიღო ევროპის საბჭომ. ამით ჩვენმა ქვეყანამ ევროპის სხვა სახელმწიფოების მსგავსად აღიარა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს.

ინსტრუქცია


დავალება ღია დაბოლოებით (№18, 19.2, 19.3, 20, 21, 22, 23.3-23.7)

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას ჩაწერეთ დავალების პირობის ადეკვატური, კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

(4) 18. სქემა არასრულად ასახავს საქართველოში მოქმედ გადასახადებს. შეავსეთ სქემა:

გადასახადები	გადასახადის სახეები	პირდაპირი / არაპირდაპირი
საერთო- სახელმწიფოებრივი	საშემოსავლო	პირდაპირი
	მოგების	18.1
	18.2	არაპირდაპირი
	აქციზი	არაპირდაპირი
	იმპორტი	18.3
ადგილობრივი	18.4	პირდაპირი

(3) 19. მოცემულია 2018 წლის მსოფლიო რუკა. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



(1) **19.1 რა არის ასახული მოცემულ რუკაზე?**

ა) რელიგიის გავრცელება;

ბ) ემიგრაციის მაჩვენებელი;

გ) ეკონომიკური განვითარება;

დ) ბავშვთა უფლებების დაცვის ხარისხი.

(1) **19.2 რუკის მონაცემების მიხედვით, იმსჯელეთ აფრიკის კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში არსებულ მდგომარეობაზე.**

(1) **19.3 რუკის მონაცემების გამოყენებით იმსჯელეთ, როგორია მიმართება რუკაზე ასახულ მოვლენასა და ქვეყნების დემოკრატიულობას შორის. მოსაზრება დაასაბუთეთ.**

- (5) **20. დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:**
- I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ II ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 20.2)*
 - II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომლებიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული I ამოცანის შესრულებას; *(დავალება 20.3)*
 - III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 20.1)*

(1)	20.1	<u>პროექტის მიზანი:</u> (ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე).
(1)	20.2	<p><u>პროექტის I ამოცანა:</u> მოსწავლეების მიერ დემოკრატიული არჩევნების მნიშვნელობის გააზრება, საარჩევნო სისტემების შესახებ თეორიული ცოდნის გაღრმავება.</p> <p><u>პროექტის II ამოცანა:</u> (განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა, II ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე).</p>
(3)	20.3	<p><u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u> (დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა).</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 2. 3. <p><u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. არჩევნებზე დამკვირვებლად მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის მოწვევა მოსწავლეებისათვის ტრენინგის ჩასატარებლად თემაზე: „დამკვირვებელთა როლი თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში“. 2. პანელური დისკუსიის მოწყობა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან თემაზე: „ახალგაზრდობის პრობლემები პარტიის საარჩევნო პროგრამებში“. 3. იმიტირებული არჩევნების ჩატარება სკოლაში.

(4) 21. გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:



(1) 21.1 რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?

(1) 21.2 რომელი პოლიტიკური იდეოლოგიისათვის არის დამახასიათებელი სახელმწიფო კანონებისაგან თავისუფალი ცხოვრების მოთხოვნა და რა ძირითად არგუმენტს ემყარება ეს იდეოლოგია?

(2) 21.3 იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ადამიანი შეზღუდული იყოს სახელმწიფო კანონებით. იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რატომ არის მორალური ნორმების დაცვა მნიშვნელოვანი პიროვნებისათვის.

(5) **22. გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

„ქარხნების ავტომატიზაციამ უკვე გაანადგურა სამუშაოები ტრადიციულ მრეწველობებში და ხელოვნური ინტელექტის ზრდა, სავარაუდოდ გამოიწვევს ამ სამუშაოს მოსპობას საშუალო კლასებში, ასე რომ, დარჩება მხოლოდ ყველაზე მზრუნველობითი, შემოქმედებითი და საზედამხედველო როლები.

... ინტერნეტი და სხვადასხვა პლატფორმა ინდივიდთა ძალიან მცირე ჯგუფებს ნებას რთავს, რომ გამოიმუშაონ უზარმაზარი შემოსავლები ძალიან მცირე რაოდენობის ადამიანების დაქირავებით. ეს გარდაუვალია, ეს არის პროგრესი, მაგრამ ეს არის ასევე სოციალური დესტრუქცია.“

სტივენ ჰოკინგი, „ეს არის ყველაზე სახიფათო დრო ჩვენი პლანეტისთვის“, გარდიანი, 2016 წელი.

- (1) 22.1 ტექსტიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და აქტუალურობის შესახებ.
- (4) 22.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;
B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად.

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.)

(9) **23. გაანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:**

წყარო N1

გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პარამილიტარისტული მოიერიშე რაზმის მსვლელობა ნიურნბერგში, 1929 წელი.



წყარო N2

„მხედრიონის“ ხელმძღვანელი ჯაბა იოსელიანი საქართველოს სამოქალაქო ომის დროს, 1992 წელი.



წყაროებზე გადასვლა: [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#)

დავალებებზე გადასვლა: [23.1](#) [23.2](#) [23.3-23.7](#)

წყარო N3

„ყოველი სახელმწიფო ძალადობას ემყარებაო“, თქვა თავის დროზე ტროცკიმ ბრესტ-ლიტოვსკში. და ეს მართლაც ასეა. მხოლოდ და მხოლოდ ისეთი სოციალური წარმონაქმნები რომ არსებულებო, რომელთათვისაც უცნობია ძალადობა, ვითარცა ღონისძიება, უკუგდებული იქნებოდა „სახელმწიფოს“ ცნება. [...] ბუნებრივია, სულაც არ არის ისე, თითქოსდა ძალადობა სახელმწიფოს ნორმალური ან თუნდაც ერთადერთი ღონისძიება იყოს. ამაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ იმაზე, რომ ძალადობა მისი სპეციფიკური ღონისძიებაა. დღესდღეობით სახელმწიფოსა და ძალადობას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით ინტიმურია. გვაროვნულიდან მოყოლებული წარსულის ყველა, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გაერთიანებისათვის ფიზიკური ძალადობა სავსებით ნორმალურ ღონისძიებად ითვლებოდა. სადღეისოდ კი საჭიროა განვაცხადოთ, რომ სწორედ სახელმწიფო არის ადამიანთა ისეთი ერთობა, რომელიც თავის ხელში იღებს ფიზიკური ძალის ლეგიტიმური გამოყენების მონოპოლიას მოცემული ტერიტორიის ფარგლებში. თანამედროვეობის სპეციფიკა სწორედ ისაა, რომ იგი ფიზიკურ ძალადობაზე უფლებას მხოლოდ იმ ზომად მიაკუთვნებს ხოლმე ყოველ კავშირსა თუ ცალკე პერსონას, რა ზომითაც ამას, თავის მხრივ, სახელმწიფო უშვებს. მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ითვლება ძალადობაზე „უფლების“ ერთადერთ წყაროდ. ამიტომ ჩვენთვის „პოლიტიკა“ სხვა არაფერია, თუ არა სწრაფვა ძალაუფლებაში მონაწილეობისაკენ, ან მის გადანაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისკენ.“

მაქს ვებერი „პოლიტიკა, როგორ მოწოდება და ხელობა“ , 1919 წ.

წყარო N4

„მთავრობების უმეტესობა თითქმის ყოველთვის ცდილობს ძალადობაზე უფლების მონოპოლიზებას. თუ მხოლოდ მთავრობას შეუძლია ძალის ლეგიტიმურად გამოყენება და ეს გამოყენება შეზღუდულია კანონით, მაშინ ტრადიციული პოლიტიკა შესაძლებელია. შეუძლებელია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, სასამართლო განხილვები, კანონპროექტების შემუშავება და კანონის აღსრულება, ან მთავრობის ნებისმიერი სხვა რუტინული საქმიანობა, თუ სხვა პირებსაც შეუძლიათ ძალის გამოყენება, სახელმწიფოს გარდა.

სწორედ ამიტომ ადამიანები და პარტიები, რომელთაც დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დარღვევა სურთ, ქმნიან და აფინანსებენ ძალადობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც პოლიტიკაში ერთვებიან, ასეთი ჯგუფი შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის გასამხედროებული ფრთა, კონკრეტული პოლიტიკოსის პირადი დაცვა, ან, ერთი შეხედვით მოქალაქეების კერძო ინიციატივა, თუმცა, როგორც წესი, ირკვევა, რომ ეს ინიციატივა ამა თუ იმ პარტიის ან მისი ლიდერის მიერაა ორგანიზებული.“

ტიმოთი სნაიდერი „ტირანია, XX საუკუნის ოცი გაკვეთილი“, 2016 წელი.

წყარო N5

„სანამ ადამიანებს არა აქვთ საერთო ძალაუფლება, რომელიც ყველას მოწიწების მდგომარეობაში ამყოფებს, ისინი ომად წოდებულ ვითარებაში არიან და ეს არის ომი ყველა კაცისა ყველა სხვა კაცის წინააღმდეგ. რამეთუ ომი არ არის მხოლოდ ბრძოლის ან შერკინების მომენტი, ომი ჰქვია დროის იმ მონაკვეთს, როდესაც საკმარისად ცხადია ბრძოლის გზით დაპირისპირების ნება. მაშასადამე, დროის ცნება ისევე უნდა მივიჩნიოთ ომის ბუნების ნაწილად, როგორც ამას ამინდის შემთხვევაში ვაკეთებთ. როგორც ავდარს არ ვეძახით მხოლოდ ცალკეულ ჟინჯღლს თუ თქორს, არამედ რამდენიმე დღის განმავლობაში წვიმიან ამინდს, ასევე ომის არსია არა მხოლოდ ბრძოლა, არამედ გამოხატული მზაობა ბრძოლისთვის მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც მისგან დაცული არა ვართ. ყველა სხვა დროს კი მშვიდობა ჰქვია.“

თომას ჰობსი „ლევიათანი“, 1651 წელი.

წყარო N6

„სწორედ ამაშია სახელმწიფოს არსი, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ერთი პიროვნება, რომლის მოქმედების ავტორადაც თავი გამოაცხადა მრავალმა, ვინც ერთმანეთს შეუთანხმდა იმის თაობაზე, რომ მას შეუძლია ყველა მათგანის ძალა და უნარები გამოიყენოს ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლის მშვიდობისა და საერთო უსაფრთხოებისათვის. ამგვარ პიროვნებას ჰქვია სუვერენი და მას სუვერენული ძალაუფლება მიეწერება; ყველა სხვა კი მისი ქვეშევრდომია.

სუვერენული ძალაუფლების მოპოვება ორგვარი გზით არის შესაძლებელი. ერთ შემთხვევაში ეს ხდება ბუნებრივი ძალით, იმის მსგავსად, როგორც კაცი აიძულებს თავის შვილებს თვითონაც და თავიანთი შვილებიც მის მმართველობას დაუქვემდებაროს, რადგან უარის შემთხვევაში მათი განადგურება შეუძლია. ასევე, კაცს შეუძლია, ომით დაიმორჩილოს სხვები მათი სიცოცხლის შენარჩუნების პირობით. მეორე გზა ისაა, როდესაც ადამიანები თავისი ნებით თანხმდებიან, დაემორჩილონ ერთ ადამიანს ან ადამიანთა საკრებულოს იმის რწმენით, რომ ისინი მათ ყველა სხვისგან დაიცავენ. ამ უკანასკნელს შეგვიძლია ვუწოდოთ პოლიტიკური სახელმწიფო, ან დაწესების გზით შექმნილი სახელმწიფო, პირველს კი – მოხვეჭის გზით შექმნილი სახელმწიფო.“

თომას ჰობსი „ლევიათანი“, 1651 წელი.

წყარო N7

„რაკი სუვერენი უმრავლესობის ხმებით გამოცხადდა, ის, ვისაც სხვა აზრი ჰქონდა, ახლა დანარჩენს უნდა დაეთანხმოს ანუ საკუთრად აღიაროს სუვერენის ყველა ქმედება. სხვა შემთხვევაში სამართლიანი იქნება, თუ სხვებმა ის გაანადგურეს. რამეთუ, თუ ის ნებაყოფლობით შევიდა შეკრებილთა ერთიანობაში, მან ამით საკმარისად განაცხადა თავისი ნება და დაეთანხმა, რომ გაიზიარებს უმრავლესობის გადაწყვეტილებებს. მაშასადამე, თუ ის ხელს აიღებს ასეთ გაზიარებაზე ან პროტესტს გამოთქვამს სუვერენის რომელიმე გადაწყვეტილების გამო, ის საკუთარ ხელშეკრულებას დაუპირისპირდება და, აქედან გამომდინარე, უსამართლო იქნება. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გაერთიანების წევრი, ან ვინმემ ჰკითხა თუ არა მას თანხმობა, იგი ან უნდა დაეთანხმოს მათ გადაწყვეტილებას, ან დარჩეს ომის იმ მდგომარეობაში, რაშიც მანამდე იყო. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერ ადამიანს ისე, რომ ეს უსამართლობად არ ჩაეთვლება, შეუძლია მისი განადგურება.“

თომას ჰობსი „ლევიათანი“, 1651 წელი.

- (1) **23.1** ჰობსის მიხედვით, რა მდგომარეობას ეწოდება *ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ*?
- ა) მოქალაქეების დაპირისპირებას ყოფით საკითხებზე;
 - ბ) მდგომარეობას, როდესაც არ არსებობს საერთო ძალაუფლება;
 - გ) ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის შეტაკების მომენტს;
 - დ) მდგომარეობას, როდესაც მოქალაქეები განიცდიან საფრთხეს სახელმწიფოს მხრიდან.

წყაროებზე გადასვლა: [1-2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#)

დავალებებზე გადასვლა: [23.2](#) [23.3-23.7](#)

(1) **23.2 N6 წყაროს მიხედვით, „პოლიტიკური სახელმწიფო“ შეგვიძლია ვუწოდოთ ისეთ სახელმწიფოს, რომელშიც:**

- ა) ადამიანები თავისი ნებით ექვემდებარებიან სუვერენს, რომელიც მათ იცავს სხვა ადამიანთა მხრიდან ძალადობისაგან;
- ბ) მოქალაქეები იძულებული არიან დაემორჩილონ მმართველ ძალას, რათა ამ უკანასკნელმა არ გაანადგუროს მათი სიცოცხლე და თავისუფლება;
- გ) ძლიერი პიროვნება ომის ძალით იმორჩილებს სხვა ადამიანებს და მათი სიცოცხლის შენარჩუნების პირობით აწესებს სახელმწიფო მმართველობას;
- დ) ძალაუფლება ადამიანთა საკრებულოს თითოეულ წევრზე თანაბრად არის გადანაწილებული და ყოველ პიროვნებას აქვს სუვერენული ძალაუფლება.

წყაროებზე გადასვლა: [1-2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#)

დავალებებზე გადასვლა: [23.1](#) [23.3-23.7](#)

- (1) 23.3 იმსჯელეთ, რას მოიაზრებს თომას ჰობსი წინადადებაში „ერთი პიროვნება, რომლის მოქმედების ავტორადაც თავი გამოაცხადა მრავალმა.“
- (2) 23.4 იმსჯელეთ N7 წყაროში მოცემულ მიმართებაზე უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. შეაფასეთ მოცემული მიმართება ლიბერალურ-დემოკრატიული პერსპექტივიდან.
- (2) 23.5 მაქს ვებერის ტექსტის მიხედვით, რას ნიშნავს ძალადობის ლეგიტიმური უფლება? იმსჯელეთ, რა საშუალებებით ახორციელებს მას სახელმწიფო.
- (1) 23.6 იმსჯელეთ, რა ლეგალური საშუალებებით არის გადაჭრილი თანამედროვე ლიბერალურ სახელმწიფოში ძალადობის ლეგიტიმური უფლების შეზღუდვა.
- (1) 23.7 იმსჯელეთ, შესაძლებელია თუ არა „ტრადიციული პოლიტიკის“ განხორციელება N1 და N2 წყაროებში აღწერილი ვითარების შემთხვევაში. მსჯელობა დაასაბუთეთ წყაროებზე დაყრდნობით.

წყაროებზე გადასვლა: [1-2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#)

დავალებებზე გადასვლა: [23.1](#) [23.2](#)